სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/12

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/32 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/31 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურში უნივერსიტეტის ქონების დაცვისა და მართლზომიერი განკარგვის მიზნით, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, სამსახურის პერსონალისგან იქმნება მონიტორინგისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფები და სწრაფი რეაგირების დანაყოფი.

3. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების განყოფილება, რომლის ფუნქციებია:

ა) სახანძრო უსაფრთხოების რეჟიმის დადგენა და კონტროლი;

ბ) თანამშრომელთა სწავლებისა და ინსტრუქტაჟების ორგანიზება;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციის კოორდინაცია;

დ) გამოვლენილი ხარვეზების აღრიცხვა და რეაგირება.“.

ბ) დებულების მე-5 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-3[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3[1]. განყოფილების უფროსი:
ა) ორგანიზებას უწევს განყოფილების მიერ ამ დებულებით გათვალიწინებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;
ბ) ახორციელებს განყოფილების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას;
გ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს და წარადგენს სხვადასხვა ხასიათის ინიციატივებს, შესაბამისი დასაბუთებით;
დ) კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან სამსახურის უფროსის დავალებით;
ე) სამსახურის უფროსის დავალებით ასრულებს განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**